პრეზიდენტი
ჰენრი ბ. აირინგი
პირველ პრეზიდენტთა
პირველი მრჩეველი

მოუწოდეთ მათ რომ ილოცონ

ბავშვობიდანვე, მშობლებმა მაჩვენეს მაგალითი, თუ როგორ უნდა მელოცა. მე მაშინ წარმოვიდგინე, რომ მამაზეციერი ჩემგან იყო ძალიან შორს. როდესაც გავიზარდე, ჩემი ლოცვის გამოცდილება შეიცვალა. ჩემ წარმოდგენაში მამაზეციერი გახდა უფრო ახლოს მდგომი, რომელიც იყო სინათლით გარშემორტყმული და რომელიც სრულყოფილად მიცნობდა.

ეს ცვლილება მოხდა, როდესაც მივიღე ნამდვილი დამოწმება იმისა, რომ იოსებ სმითის მოყოლილი ამბავი იყო ჭეშმარიტება, რაც მან განიცადა 1820 წელს მანჩესტერში, ნიუ იორკში.

„მე დავინახე მზეზე უფრო კაშკაშა სინათლის სვეტი, პირდაპირ ჩემ თავის ზევით, რომელიც თანდათანობით ეშვებოდა, სანამ ბოლოს მე არ დამეცა.

„როცა კი სინათლე დამეცა, ვიგრძენი, თუ როგორ განვთავისუფლდი მტრის მარწუხებიდან, რომელსაც შებოჭილი ვყავდი. როდესაც სინათლე მთლიანად მომეფინა, მე დავინახე ორი პიროვნება, რომლებიც იდგნენ ჰაერში ჩემს ზევით, რომელთა სიკაშკაშის და დიდების სიტყვებით აღწერა შეუძლებელია. ერთერთმა მათგანმა მომმართა სახელით, მიმითითა მეორეზე და სთქვა —*ეს არის ჩემი საყვარელი ძე, მოუსმინე მას!!*“ (იოსებ სმითი—ისტორია 1:16–17).

მამაზეციერი იმ მშვენიერ გაზაფხული დღეს გამოეცხადა პატარა ტყეში, მან მიმართა იოსებ სმითს სახელით, წარუდგინა აღმდგარი მსოფლიოს მხსნელი როგორც მისი „საყვარელი ძე.“ როდესაც არ უნდა ლოცულობდეთ ამ ჭეშმარიტების დამოწმება თქვენ ყოველთვის დაგლოცავთ.

მამაზეციერი, რომლის მიმართაც ვლოცულობთ, არის ბრწყინვალე ღმერთი, რომელმაც შექმნა სამყაროები მისი საყვარელი ძის მეშვეობით. მას ესმის ჩვენი ლოცვები ისე, როგორც მან შეისმინა იოსებ სმითის ლოცვა, ისე ნათლად, როგორც პირისპირ ნათქვამი. მას ვუყვარვართ იმდენად, რომ მოაგზავნა ჩვენს მხსნელად მისი ძე. ამ ძღვენით მან შესაძლებლობა მოგვცა, რომ მიგვეღწია უკვდავებისთვის და მარადიული სიცოცხლისათვის. მისი ძის სახელით ლოცვის მეშვეობით ის გვთავაზობს შესაძლებლობას, რომ მივმართოთ მას ამ ცხოვრებაში, როდესაც მოგვესურვება.

უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესიის მღვდლობის მფლობელებს აქვთ წმინდა მოვალეობა, რომ „ეწვივნონ ყოველ წევრს და *მოუწოდონ მათ ლოცვისათვის ხმამაღლა და თავისთვის პირადულად*” (მოძღვრება და აღთქმები 20:47; ხაზგასმულია).

არის ძალიან ბევრი გზა იმისა, რომ ადამიანს მოუწოდოთ ლოცვისათვის. მაგალიად, შეგვიძლია

გავუზიაროთ დამოწმება, ღმერთის მცნებაზე, რომ ყოველთვის უნდა ვილოცოთ. ან შეგვიძლია მოვუყვანოთ მაგალითები წმინდა წერილებიდან და ჩვენი პირადი გამოცდილებიდან, იმის შესახებ, თუ როგორი კურთხევების მიღება შეიძლება მადლიერი ლოცვით, მონანიებით და თხოვნით. მაგალითად, მე შემიძლია გავუზიარო დამოწმება, რომ მამაზეციერი პასუხობს ჩვენ ლოცვებს. მე ვიღებ რჩევებს და ნუგეშს იმ სიტყვებით, რომელიც მომდის ფიქრებში და სულის დახმარებით ვიცი რომ ეს სიტყვები არიან ღმერთისაგან.

წინასწარმეტყველ იოსებ სმითს ჰქონდა იგივე გამოცდილებები და თქვენც შეგიძლიათ განიცადოთ იგივე. მან მიიღო ეს პასუხი გულწრფელი ლოცვის პასუხად:

„შვილო ჩემო, მშვიდობა იყოს შენ სულში, რადგან შენი უბედურება და ტანჯვა იქნება ხანმოკლე;

„და შემდეგ, თუ გაუძლებ ბოლომდე, ღმერთი აგამაღლებს ზეცაში“(მოძღვრება და აღთქმები 121:7–8).

ეს იყო სიყვარულით აღსავსე მამაზეციერის გამოცხადება, რწმენით აღსავსე შვილისათვის, მისი დიდი გაჭირვების ჟამს. ღმერთის ყოველ შვილს შეუძლია ლოცვით ესაუბროს ღმერთს. ჩემთვის არცერთ მოწოდებას ლოცვისაკენ არ ჰქონია უფრო დიდი გავლენა, როგორც სიყვარულის და სინათლის გრძნობას, რომლებიც მოდის მორჩილი ლოცვების პასუხად.

ჩვენ ვიღებთ დამოწმებას ღმერთის რომელიმე მცნების შესახებ, ამ მცნების დაცვის შედეგად. (იხილეთ იოანე 7:17). ეს არის სიმართლე იმ მცნებისა, რომ უნდა ვილოცოთ სახალხოდ და პირადად. როგორც თქვენი მასწავლებელი და მეგობარი, მე გპირდებით, რომ ღმერთი უპასუხებს თქვენს ლოცვებს და სულიწმინდის ძალით, თქვენ, შეგიძლიათ იცოდეთ, რომ პასუხები არის მისგან.

ამ მოწოდების სწავლება.

- „სურათები არის მნიშვნელოვანი საშუალება, რათა განვამტკიცოთ ადამიანის წარმოდგენა გაკვეთილის შესახებ“ (*Teaching, No Greater Call* [1999], 176). აჩვენეთ იოსებ სმითის პირველი ხილვის სურათი. ისაუბრეთ იოსებ სმითის ლოცვის გამოცდილების შესახებ. როგორ გახდება თქვენი ლოცვები უფრო მნიშვნელოვანი, თუ წარმოიდგენთ „მამაზეციერს თქვენთან ახლოს,“ ისე, როგორც აკეთებს პრეზიდენტი აირინგი?
- როგორც პრეზიდენტი აირინგი გვასწავლის, გაუზიარეთ თქვენი დამოწმება ლოცვაზე, აღწერეთ კურთხევები, რომლებიც მიიღეთ ლოცვის მეშვეობით, ან გაუზიარეთ წმინდა წერილები ლოცვაზე.

ახალგაზრდები

ჩემი რწმენით სავსე ლოცვა

პრესცილა ფარიას ამბავი.

როდესაც ვიყავი 18 წლის, ვმუშაობდი ავეჯის მაღაზიაში გამყიდველად. ჩემი სამუშაო რეჟიმი იყო ძალიან მძიმე, ვმუშაობდი დილის 8 საათიდან ღამის 10 სათამდე, ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით. მე დაღონებული ვიყავი, რადგან არ შემეძლო მონაწილეობის მიღება ინსტიტუტის და ეკლესიის ღონისძიებებში.

მე ლოცვით მივმართე მამაზეციერს, ღრმა რწმენით ვთხოვე დამხმარებოდა ახალი სამსახურის პოვნაში, რომ არ მემუშავა შაბათობით და მევლო ინსტიტუტში და სხვა ღონისძიებებზე.

ერთ დღეს სამსახურში მე ვეხმარებოდი ერთ კაცს. საუბარი დავიწყეთ და მან მითხრა, რომ მუშაობდა დიდ ბანკში. მე შევეკითხე, თუ როგორ შემეტანა სამსახურზე განაცხადი ვაკანსიაზე მის სამსახურში. მან მომცა ტელეფონის ნომერი და მითხრა, რომ საკმარისი იყო, თუ დავრეკავდი ბანკში და ვეტყოდი, რომ მას ვიცნობდი. მე წავედი ბანკში, გავიარე საჭირო გამოცდები და გამოცდების ჩაბარების შემდეგ დავიწყე მუშაობა, ექვსი საათი დღეში ორშაბათიდან პარასკევამდე და ხელფასი მქონდა სამჯერ უფრო მეტი, ვიდრე ადრე.

მე ვიცი, რომ ღმერთი ჩვენ გაგვიძღვება, როდესაც პირველად გვაქვს მისი თაყვანისცემის სურვილი. ის დღესაც არის ჩემი გულის გზამკვლევი და ვიცი, რომ ლოცვის კანონი არის ჭეშმარიტება.

© 2012 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/11. თარგმანი დამტკიცებულია: 6/11. თარგმანი *First Presidency Message, თებერვალი 2012.* Georgian. 10362 131

ოჯახის კერის მფარველი

შეისწავლეთ ეს მასალა და საჭიროებისამებრ განიხილეთ ის დებთან, ვისაც სტუმრობთ. დაუსვით შეკითხვები, რათა შესძლოთ თქვენი დების განმტკიცება და ასევე იმისათვის, რომ მოწყალების საზოგადოება გახდეს თქვენი ცხოვრების აქტიური ნაწილი.

რწმენა, ოჯახი, მოწყალება

„თქვენ ხართ ოჯახის კერის მფარველები“ სთქვა პრეზიდენტმა გორდონ ბ. ჰინკლიმ (1910–2008) როდესაც მან წარადგინა „ოჯახი: მოწოდება მსოფლიოს“ მოწყალების საზოგადოების გენერალურ შეკრებაზე, 1995 წელს. „თქვენ ხართ ბავშვების აღმზრდელნი, ისინი, ვინც მათ ზრდით და აყალიბებთ მათში ცხოვრებისეულ ჩვევებს. არაფერი სხვა არ უტოლდება ღვთაებრიობას ისე, როგორც ღმერთის შვილების და ქალიშვილების აღზრდა.“[1]

უკვე თითქმის 17 წლის განმავლობაში ამ მოწოდებამ დაამტკიცა, რომ ჩვენი ყველაზე მთავარი მოვალეობა არის ოჯახის განმტკიცება, ჩვენი ოჯახური პირობების მიუხედავად. ბარბარა ტომპსონი, დღეს უკვე მოწყალების საზოგადოების მეორე მრჩეველი, იმყოფებოდა იმ დღეს სოლთ ლეიქის ტაბერნაკლის დარბაზში, როდესაც პრეზიდენტმა პირველად წაიკითხა ეს მოწოდება. „ეს იყო დიდი მოვლენა“ იხსენებს ის. „მე ვგრძნობდი ამ მოწოდების მნიშვნელობას და ვფიქრობდი, რომ ეს იყო დიდი გზამკვლევი მშობლებისათვის და დიდი პასუხისმგებლობაც. მე ვიფიქრე, რომ ეს სინამდვილეში არ იყო ჩემი საქმე, რადგან არ ვიყავი გათხოვილი და არ მყავდა ბავშვები. მაგრამ იმავე წამს გავიფიქრე, რომ ეს მეც მეხებოდა, როგორც ოჯახის წევრს. მე ვარ ქალიშვილი, და, დეიდა და შვილიშვილი. მე მაქვს ვალდებულებები და კურთხევები, რადგან ვარ ოჯახის წევრი. იმ შემთხვევაშიც კი, რომ ვყოფილიყავი ოჯახის ერთადერთი ცოცხალი წევრი, მე ასევე ვიქნები ღმერთის ოჯახის წევრი და მაქვს პასუხისმგებლობა, რომ დავეხმარო სხვა ოჯახების განმტკიცებას“.

საბედნიეროდ, ჩვენ არ ვართ მარტონი ჩვენს ძალისხმევაში. და ტომპსონი ამბობს: „უდიდესი დახმარება ოჯახების განმტკიცების საქმეში არის იესო ქრისტეს მოძღვრების ცოდნა და მათზე დაყრდნობა, ჩვენი დახმარებისათვის.“[2]

ჩვენი ისტორიიდან

„როდესაც და ბათშება ვ. სმითი მსახურობდა მოწყალების საზოგადოების რიგით მეოთხე პრეზიდენტად, (1901–1910 წ.წ.), მან დაინახა ოჯახების განმტკიცების მნიშვნელობის აუცილებლობა. ამის გამო მან ჩამოაყალიბა მოწყალების საზოგადოების საგანმანათლებლო გაკვეთილები დედებისათვის. ამ გაკვეთილებში შედიოდა კონსულტაციები ქორწინების საკითხებზე, მშობლობის, ბავშვების მოვლის და აღზრდის საკითხებზე. ამ გაკვეთილებს მხარს უჭერდა პრეზიდენტი იოსებ ფ. სმითის სწავლება ქალებისათვის მოწყალების საზოგადოების მიერ ოჯახში დახმარების შესახებ:

„იქ, სადაც არის უცოდინრობა, ან შეიძლება იყოს გაუგებრობა ოჯახთან დაკავშირებით, და ოჯახის ვალდებულებების შესახებ, რომლებიც განსაზღვრავს, ქმარს და ცოლს შორის, ასევე მშობლებს და ბავშვებს შორის ჩამოყალიბებულ ურთიერთობებს, არსებობს ეს ორგანიზაცია, რომელიც მზად არის მდიდარი გამოცდილებით, ცოდნით, პასუხისმგებლობით, ზეშთაგონებით და რჩევებით დაეხმარონ ამ მნიშვნელოვანი ვალდებულების აღსრულებაში.“[3]

შენიშვნები

1. გორდონ ბ. ჰინკლი, “Stand Strong Against the Wiles of the World,” *Ensign,* ნოემბერი 1995, 101.
2. ბარბარა ტომპსონი, “I Will Strengthen Thee; I Will Help Thee,” *Liahona* და *Ensign,* ნოემბერი 2007, 117.
3. *Daughters in My Kingdom: The History and Work of Relief Society* (2011), 153.

წმინდა წერილებიდან

იგავები 22:6; 1 ნეფი 1:1; 2 ნეფი 25:26; ალმა 56:46–48; მოძღვრება და აღთქმები 93:40

რა შემიძლია გავაკეთო?

1. როგორ დავეხმარო დებს, რომლებსაც ვასწავლი, მათი ოჯახების განმტკიცებაში?

2. როგორ შემიძლია ვიქონიო სამართლიანი გავლენა ჩემს ოჯახში?

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებგვერდი reliefsociety.lds.org.

© 2012 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/11. თარგმანი დამტკიცებულია: 6/11. თარგმანი *Visiting Teaching Message, თებერვალი 2012.* Georgian. 10362 131